




სოფლის მეურნეობის
სამსახური-კვლევითი ცენტრი

თუთის სანერგიის მოწყობა და ნერგის წარმოება



ფინანსებისათვის
თაბილისი 2018

ნაშრომში მოცემულია თუთის სანერგიის მოწყობისა და ნერგების აღზრდის თანამედროვე მიდგომები. მოცემული მასალები დაფუძნებულია მე-აბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში განხორციელებულ კვლევითი მუშაობის შედეგებზე.

წინამდებარე ბროშურა განკუთვნილია ფერმერების, აგრონომების, საკონსულტაციო დანერგვის სამსახურების თანამშრომლების, კოოპერატივის წევრებსა და ამ დარგის ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებისთვის. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე შესაბამისი პროფილის სტუდენტებს და დარგის სპეციალისტებს.

საქართველოში თუთის ხე უხსოვარი დღონიდან ხარობს. ჩვენი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სავსებით აკ-მაყოფილებს თუთის მოთხოვნილებას. თუთა ფოთოლმცვენი მცენარეა, კარგად იტანს გადაჭრას და ხასიათ-დება ტოტების წარმოქმნის სწრაფი უნარით. თუთის ძირითადი სამეურნეო დანიშნულებაა მეაპრეშუმეობის დარგის უზრუნველყოფა საკვები ფოთლით, თუმცა იგი შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალმხრივი მიმართულებითაც.

თუთის ნერგების აღზრდა და გამ-რავლება უნდა მოხდეს სანერგეში. საძირის მისაღებად შერჩეული უნდა იქნეს შიდა ქართლის, მცხე-თა-მთიანეთის და სამხრეთ საქა-რთველოს რეგიონებში არსებული უხვმსხმოიარე თუთის მცენარეები-დან დამზადებული თესლი, ხოლო მყნობისათვის გამოყენებული უნდა იქნას მაღალპროდუქტული და დაავადების მიმართ პრაქტიკულად გამძლე ჯიშების კალმები (ოშიმა, იჩინოსე, როსო, აისი, ეგრისი და ფაზისი). პირველ წელს უნდა მოეწყოს სათესი განყოფილება, მეორე წელს გაშენდება საძირეთა ნაკვეთი, ხოლო მესამე წელს რეკომენდებული ჯიშების კვირტით ტარდება მყნობა, ერთწლიანი თუთის ნამყენი ნერგს მისაღებად.

1. თუთის სათესი

თუთის სანერგე შედგება-სათე-სი განყოფილებისა და სანერგე სკოლისაგან. სანერგეში სასურველია სადედე-სათესლე ნარგაობის არ-სებობა, სადაც თესლის დამზადება

უნდა მოხდეს ნაყოფის სრული მომ-ნიფების შემდეგ. ამ მიზნით გამოყ-ენებული უნდა იქნას დაავადებისად-მი გამძლე ძლიერმისხმოიარე ჯიშები.


სანერგიისათვის შერჩეული უნდა იქნას მსუბუქი მექანიკურ შემაღ-გენლობის, ჰუმუნით მდიდარი მარ-ცვლოვანი სტრუქტურის მქონე, კარგი დრენაჟის მქონე ნიადაგი. ნაკვეთი უნდა იყოს სარწყავი წყ-ლით უზრუნველყოფილი, ქარების მოქმედებისაგან დაცული და ტრანს-პორტისათვის ადვილად მისადგომი. სანერგიისათვის გამოუსადეგარია: მძიმე თიხნარი, ქვიშნარი, მლაშე, ენერი და ჭაობიანი ნიადაგები. ქა-რსაფარი ზოლების გაშენებისათ-ვის შერჩეული უნდა იქნას თუთის სწრაფმზარდი და მჭიდროვარჯიანი ჯიშის მცენარეები. სანერგე დაც-ული უნდა იქნეს ცხოველებისაგან, ხოლო ნაკვეთი კარგად დამუშავე-ბული.

1.1. თუთის სათესი განყო-ფილების მოწყობა.

ნიადაგის მომზადება და სათესი კვ-ლების მოწყობა- სათეს განყოფილე-ბაში ხდება თუთის თესლის თესვა და ერთწლიანი თესლნერგის გამოზ-რდა. ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდ-გომაზე 25-35 სმ სიღრმეზე, ადრე გაზაფხულზე კი გადავხნათ 15-20 სმ სიღრმეზე, დაიფარცხოს და თეს-ლის დათესვამდე ორი კვირით ადრე უნდა მომზადდეს სათესი კვლები.

თუთის თესლს ძირითადად თეს-ავენ შემაღლებულ ტიპის კვლებზე, რომლის ფუძის სიგანე დაახლოვე-ბით 70-80 სმ უნდა იყოს, კვლის სი-

მაღლე - 20 სმ, ხოლო სათესი ფართი -25 სმ. სათესი კვლების დამზადების წინ ნაკვეთზე გაყვანილი უნდა იქნას სარწყავი არტები. სათესი კვლები ურთიერთისაგან დაშორებული უნდა იქნეს 30-35 სმ სიგანის კვალთაშორისებით. კვლების სიგრძე დამოკიდებულია სათესის შერჩევის ადგილმდებარეობაზე და შეიძლება იყოს 10-30 მეტრამდე. (ნახ.1) კვლების დამზადების შემდეგ უნდა ჩატარდეს ნაკვეთის სასინჯი მორწყვა, რათა გამომჟღავნებული იქნეს ნორმალური მორწყვის შესაძლებლობა და გამოსწორდეს არსებული ხარვეზები.



ნახ.1. შემაცლებული ანუ შუა აზის ტიპის კაბლი
აკვალი. ბეკვალთაშორისი


იმასთან დაკავშირებით, რომ თუთის ნათესებს დიდ ზიანს აყენებენ მავნებლები, განსაკუთრებით მახრა და ხვატარი, მათ სანინაალმდეგოდ ნიადაგის შენამვლა უნდა მოხდეს პრეპარატებით: ბი-58-ით, აქტელიკით, დურსბანით ან თუთის ფოსფიდის ფხვნილით შემზადებული მისატყუარი მასალით. მისატყუარ მასალას (სიმინდის ღერლილს ან ხორბლის მარცვალს) ხარშავენ, შემდეგ ურევენ ფოსფიდის ფხვნილს. ამასთან, მიმკვრელობისა და სპეციფიკური სუნის მიღების მიზნით მას ემატება 3 % -ანი მცენარეული ან მინერალური ზეთი. ამგვარად მომზადებული შესანამლი მისატყუარი მასალა ნიადაგში შეიტანება ზედაპირულად, ბუდნების

სახით. 1-ჰა -ზე საჭიროა 0,8 კგ თუთის ფოსფატის ფხვნილი და 20 კგ მისატყუარი მასალა.

სათეს განყოფილებაში აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება. სასუქები შეტანილი უნდა იქნას ნიადაგში შემდეგი რაოდენობით: 1 ჰა-ზე ნაკელი 40 ტონა, ამონიუმის გვარჯილა (33% იანი) - 120 კგ, სუპერფორმატი (18,5% იანი) - 90 კგ და კალიუმის მარილი (40% იანი) - 60 კგ. ორგანული სასუქე, ფოსფორი და კალიუმი შეიტანება ადრე გაზაფხულზე ნიადაგის გადახვის წინ. აზოტის ნორმის ნახევარი შეტანილი უნდა იქნას მაშინ, როდესაც თესლონერგები 8-10 სმ სიმაღლეს მიაღწევს, ხოლო მეორე ნახევარი კი პირველი შეტანიდან 4-5 კვირის შემდეგ.

თუთის თესვა - წარმოებს თუთაზე მე- 5 ფოთლის გაშლის პერიოდში -აპრილის თვის ბოლოს ან მაისის თვის დასაწყისში. თუთის თესლის სიმცირის ან გაზაფხულის ნათესების განადგურების შემთხვევაში, დასაშვებია ზაფხულში თესვა ახალი თესლით. სათესი კვლების შენამვლიდან 5-10 დღის შემდეგ თოხით უნდა მოისპოს სარეველები, შესწორდეს კვლები და დაინტენსიური შემზადებული (1 ნილი თესლი 10 ნილი სილა) თესლის თესვა. წვრილ ფერმერულ სანერგებში თუთის თესვა შეიძლება ხელით, ხოლო მსხვილ სანერგებში -ტყის ან ბოსტნეული კულტურების სათესი მანქანებით. თუთის თესვა წარმოებს კვლებზე მონევით და მწკრივში. თესვის აღნიშნული ნესებიდან საქართველოში ძირითადად სარგებლობენ

შემაღლებულ კვლებზე მწკრივად თესვას, ისე რომ მწკრივებს შორის მანძილი შეადგენდეს 5-6 სმ. თუთის თესლი წვრილმარცლოვანია და შედარებით ზედაპირულად 1-2 სმ სიღრმეზე ითესება. მშრალ რაიონებში, მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე ჩათესვის სიღრმე ოდნავ უნდა გაიზარდოს 2-3 სმ-მდე (ნახ. 2).



ნახ. 2. თუთის თესლის ზოდებულოვა ანუ დაუნტისგრძი თესვა

ჩათესილი თესლი სასურველია დაიფაროს გადამწვარი, გაცრილი ნაკელისა და ფევიერი მიწის ნაზავით და კარგად უნდა დაიტკებოს. 1- ჰა-ზე თესლი, ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ითესება:

ლ. ხარისხი-(ალმოცენება-80%-მეტი, სიწმინდე არანაკლები-98%)—8-10 კგ.

ლლ. ხარისხი-(ალმოცენება-65-80%-მდე, სიწმინდე არანაკლები -96%)—10-14 კგ.

ლლლ. ხარისხი -(ალმოცენება-50-64%-მდე, სიწმინდე არანაკლები -94%)—15 კგ. მეტი.

სათეს კვლებზე თუთის თესლის თესვის შემთხვევამი გაივლება 2-სმ სიღრმის სათესი ხაზები, მასში ჩათესავენ თესლს და ფოცხით წააყრიან მიწას. თუთის თესლი, მაღლე და თანაბრად რომ ალმოცენდეს 1-2 დღით ადრე უნდა მოთავსდეს გამდინარე წყალში.

ნათესარის მოვლა. ნათესარის მოვლა თესლის ალმოცენებამდე იწყება. პირველი მორნცყვა უნდა ჩატარდეს დათესვისთანავე და შემდეგ იმ ვარაუდით, რომ ნათესი ალმოცენებამდე ტენიან მდგომარეობაში იყოს. თესლის ალმოცენების შემდეგ მორნცყვის ინტენსივობა თანდათან უნდა შემცირდეს, ხოლო სექტემბრის მეორე ნახევარში საერთოდ შეწყდეს. ნაკეთობის სარეველებისგან განმენდა და ნიადაგის გაფხვიერება ტარდება თვეში ერთხელ, პატარა თოხით ან სპეციალური სამარგვლით. თესლნერგების პირველი გამოხშირვა უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც ნათესარის სიმაღლე მიაღწევს 5- სმ, ხოლო როდესაც ნათესარის სიმაღლე მიაწევს 10-სმ, იგი ხელმეორედ უნდა გამოიხშიროს ისე, რომ თესნერგებს შორის მანძილი დარჩეს 2-3 სმ. ზაფხულის პერიოდში უნდა ჩატარდეს თესლნერგების ტანზე ამონაყარიყლორტების შეცლა.


თესლნერგების ამოღება, დახარისხება და შენახვა - თესლნერგები ამოღებული უნდა იყოს ნიადაგიდან ნოემბერში ფოთოლცვენის დაწყებიდან ყინვების დადგომამდე. თესლნერგების ამოღება შეიძლება ადრე გაზაფხულზეც. მსხვილ სანერგებში თესლნერგების ამოსალებად გამოყენებული შეიძლება იქნას ნერგსათხრელი მანქანები. წვრილ ფერმერულ სანერგებში თესლნერგების ამოღება ხორციელდება ძირითადად ბარის საშუალებით. სასურველია თესნერგებს დაუზიანებლად ამოყვეს 20-25 სმ სიგრძის ფესვები. ამოღებისთანავე უნდა მოხდეს თესლნერგების დახარისხე-

ბა მოქმედი სტანდარტის მიხვედით.

თესლნერგებს უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული, სრულად მომწიფებული, მავნებლებისგან და მექანიკურად დაუზიანებელი, სწორი ტანი. თესლნერგების დახარისხება ფესვის ყელის სიმსხოს მიხედვით ხდება სპეციალური შაბლონის ან შტანგერ-ცირკულის საშუალებით.

დახარისხებული თესლნერგები საძირე ნაკვეთში გადარგვამდე შენაბული უნდა იქნეს დახურულ ან ღია გრუნტში. დახურულ გრუნტში თესლნერგების შესანახად გამოყენებული შეიძლება იქნას ფარდული ან სარდაფი. შენახვის ადგილზე წინასწარ უნდა დაიყაროს მდინარის სილა, რომელშიც თესლნერგები ნაწვენილ მდგომარეობაში (45° კუთხის დახრით) ისე უნდა ჩაწყოს და ფესვებისა და ტანის 2/3 ნაწილი დაიფაროს სილით (ნახ. 3.).

ღია გრუნტში თესლნერგების შესანახად არჩევენ შემაღლებულ და ქარებისაგან დაცულ ადგილს, ფხვიერი და წყლის ადვილად გამტარი ნიადაგით. გუთნით ან ხელით გაჭრიან 20-30 სმ სიღრმის თხრილს, რომელშიც თესლნერგებს დაწვენილ მდგომარეობაში ჩაწყობენ 5-8 სმ სისქის ფენად. თესლნერგების ფენის სისქე დამოკიდებულია მათ სიმსხოზე. თხრილში ჩაწყობილ თესლნერგებს ფესვებზე უნდა მიეყაროს ფხვიერი მიწა, რომელიც კარგად უნდა მიეტკეპნოს. მიმარხულ ადგილს გარშემო უნდა შემოვლოს 0,5 სიღრმისა და სიგანის არხი. თესლნერგებს უკეთებენ ეტიკეტს, ჯიშის და ხარისხის აღნიშნით.




ნახ. 3 თუთის ნერგების მიმარხვა

1.2. სანერგე სკოლა

თუთის სანერგეის ძირითადი შემადგენელი ნაწილია სანერგე სკოლა, სადაც ნარმოებს თესლნერგების დარგვა, მოვლა და საძირებად ჩამოყალიბება. სანერგე სკოლაში შესაძლებელია მყნობის გარეშე ჰიბრიდული ნერგის აღზრდა. თესლნერგების სანერგეში დარგვა ხდება შემოდგომით, მცენარეებზე ფოთოლცვენის დამთავრების შემდეგ, ან აღრე გაზაფხულზე-წვენთა დენის დაწყებამდე. სანერგე სკოლის ნიადაგი მზრალად უნდა მოიხნას 25-30 სმ სიღრმეზე. თესლნერგებს შემოდგომაზე დარგვისას ნიადაგი დარგვამდე რამოდენიმე დღით ადრე უნდა დაიფარცხოს ორ კვალად, გაზაფხულზე დარგვისას, ნიადაგი უნდა გადაიხნას 15-20 სმ სიღრმეზე და ორ კვალად დაიფარცხოს. სკოლაში ორგანული და მინერალური სასუქი შეტანილი უნდა იქნას გაზაფხულზე ნიადაგის გადახვის ნინ.

სანერგე სკოლისათვის გამოყოფილი ნაკვეთი თესლნერგების დასარგავად ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ნარგვის რიგები მიემართებოდეს ნაკვეთის გრძელი მხარის მიმართულებით და შესაძლებლობის ქარების მოძრაობის პარალელურად. ფართობის დაგეგმვა თესლნერგების დასარგავად წარმოებს გაჭიმული ლარების საშუალებით. თესლნერგები ირგვება რიგებს შორის 70-90 სმ და მცენარეთა შორის 10-15 სმ დაშორებით. დარგვის ასეთი სიხშირის შემთხვევაში 1 ჰა-ზე დაეტევა 80-100 ათასი ძირი თესნერგი. დასაგეგმი ლარი წარმოადგენს მავთულს, რომელზე-დაც ფერადი ზეთოვანი სალებავით აღნიშნული უნდა იქნას რიგთაშორისი მანძილების დასაცავი ნიშნები, შემდეგ გაიჭიმება.

დასარგავი ლარი, რომელზედაც აღნიშნული იქნება მცენარეთაშორისი მანძილების დასაცავი ნიშნები (ნახ. 4.) ჯერ უნდა გაიჭიმოს რიგის ლარები, ნაკვეთის თავსა და ბოლოში, შემდეგ გაიჭიმება დასარგავი ლარი. რგვის პროცესში რიგის ლარები უძრავია. ერთი რიგის დარგვის შემდგომ დასარგავი ლარი მეორე რიგში გაიჭიმება.



ნახ. 4. დასარგავი დანერგის გამართვის წესის წერტილებს დაზღიურების გატარების სტანდარტული მდგრადი დანერგის დასარგავის პალის შეგრძელების დაზღიურების დასარგავის დანერგის დამართება.


დარგვის ნინ, თესლნერგებს ბას-

რი ცულით ან სხვა მჭრელი იარა-ლით ფესვებს წააჭრიან ისე, რომ გადაუჭრელი დარჩეს 15-20 სმ სიგ-რძის ფესვები. (ნახ. 5.) ამასთან, მცენარეებს რომელთაც აქვთ დაზიანებული ფესვები, უნდა წაეკვეცოს საღ წაწილამდე. ასეთნაირად მომზადებულ თესლნერგებს რგავენ მინაში.



ნახ. 5. თესლნერგების ფესვის შეკვეცა დარგვის ნინ

თესლნერგებს ძირითადად პალოს საშუალებით რგავენ. დასარგავ ლარზე აღნიშნულ ნიშანთან პალოთი ნიადაგში აკეთებენ ხვრელს, რომელშიც მოათავსებენ დასარგავად გამზადებულ თესლნერგს, შემდეგ ახლად ჩარგული თესნერგიდან 10 სმ დაშორებით კვლავ ჩაარჭიობენ პალოს და ხელის მიწოლით ნარგავის მიმართულებით მიატკებნიან მინას. (ნახ. 6.) პალოს ამოძრობის შემდგომ დარჩენილი ხვრელი ამოიგება მინით და დაიტკებნება. დარგვის დროს თესლნერგები მწკრივში უნდა გაუსწორდეს ერთმანეთს, მათი ფესვის ყელი ნიადაგის ზედაპირიდან 2-3 სმ სიმაღლეზე უნდა იყოს.




ნახ. 6. თესნერგების დარგვა პალოს გამოყენებით

სანერგე სკოლის მოვლა პირველ წელს - სანერგე სკოლაში პირველ წელს წარმოებს სამყნობად ვარგისი საძირის ან პიბრიდული ნერგის აღზრდა. დარგვის დამთავრებისთანავე ნაკვეთი უნდა მოირწყას და 4-5 დღის შემდგომ თესნერგი უნდა გადაიჭრას ნიადაგის ზედაპირიდან 5-10 სმ სიმაღლეზე კარგად განვითარებულ კვირტთან ახლოს.

გადაჭრის შემდეგ, როდესაც ახლადგანვითარებული ამონაყრები მიაღწევს 10-15 სმ, ზრდის გასაგრძელებლად დატოვებული უნდა იქნას 1-2 სწორი, ძლიერ მზარდი ყლორტი, ხოლო დანარჩენი უნდა შეეცალოს. 15 დღის შემდეგ საძირეზე უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი, სწორი და ძლიერმზარდი ყლორტი. (ნახ. 7.) მოვლითი ღონისძიებებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიექცეს ნიადაგის გაფხვიერებას, მორნყვას, სასუქების ნიადაგში შეტანას და საძირეზე გვერდითი ამონაყარების შეცლას.



ნახ. 7 საძირის ფორმირების სქემა

1. ახლადარგული თესნერგი;
2. გადაჭრილი თესნერგი; 3. საძირეზე ორი ყლორტის დატოვება;
4. საძირეზე ერთი ყლორტის დატოვება; 5. ერთწლიანი საძირე ვეგეტაციის დასასრულს

სანერგე სკოლის მოვლა მეორე წელს - მეორე წელს სანერგე სკოლაში წარმოებს მყნობის ჩატარება და ნამყენი ნერგების აღზრდა. იგი ძალზე საპასუხისმგებლო და შრომატევადი პროცესია. მყნობის ჩატარებისთვის აუცილებელი კომპონეტებია - საძირის და სანამყენე მასალის არსებობა. მეთუთეობაში, უპირატესობით სარგებლობს კვირტით მყნობა. იგი არის მარტივი, სწრაფად შესასრულებელი და რაც მთავარია მაღალი შეხორცების და გახარების უნარიანი.

კვირტის მყნობას ატარებენ აპრილ-

ში, საძირე გადაიჭრება ცერზე და ვეგეტაციის ბოლოს აღნიშნულ ნაკვეთზე ამჯერად უკვე ერთწლიანი ნამყენი ნერგი მიიღება. მოვლითი სამუშაოებიდან პირველი წლის ნამყენების ნაკვეთში ჩვეულებრივად ტარდება მორწყვა, სასუქების შეტანა, ნიადაგის გაფხვიერება და სარეველებისგან ნაკვეთის განთავისუფლება. მთელ რიგ შემთხვევაში, როცა საძირები ჰიბრიდული ნარმოშობისაა, მეორე წელს მყნობის ნაცვლად ატარებენ ნერგისათვის ფორმის მიცემას ანუ ვარჯის საწყისი ტოტების გამოყვანისათვის საჭირო სამუშაოებს.

2. თუთის გამრავლება მყნობით

მყნობა მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. მყნობა ერთი მცენარის ან კვირტის მეორე მცენარეზე (ტოტზე ან ფესვზე) შეხორცების ოპერაციაა. მცენარის ტოტს ან კვირტს, რომელსაც ამყნობენ მეორე მცენარეზე - ენოდება სანამყენე. ხოლო იმ მცენარეს, რომელზედაც მყნობა ტარდება - საძირე. საძირე და სანამყენე ნამყენი მცენარის ძირითადი კომპონენტებია.

მეთუთეობაში უპირატესად სარგებლობს კვირტით მყნობა. იგი არის მარტივი, სწრაფი შესასრულებელი, ეკონომიური, ამასთან მყნობის ამ წესით გამოყენების შემთხვევაში ნამყენის გახარების მაღალი მაჩვენებლები მიიღება.

თუთის კვირტით მყნობა შეიძლება ჩატარდეს: 1. სანერგეში - საძირეზე,

ან ვარჯში და 2. დარგვის წინ-შენობაში, წინასწარ მომზადებულ თუთის თესნერგებზე. სანერგეში საძირეზე, ან ვარჯში, თუთის კვირტის მყნობის ვადები ადგილობრივ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.

გვიან ზამთარსა და გაზაფხულზე მყნობა ტარდება ნაზამთრი კვირტით. ამ მიზნით სამყნობი მასალა (კალამი) მზადდება იანვარში, ან თებერვლის თვის პირველ ნახევარში. სამყნობი მასალა მყნობის დაწყებამდე შენახული უნდა იქნეს მაცივრებში შესაფერის ტემპერატურის და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის პირობებში.

ზაფხულისა და შემოდგომის მყნობა ნარმოებს მწვანე კვირტით, რომელიც მზადდება უშუალოდ მცენარეზე მყნობის წინ და ამდენად, სანამყენი მასალა არავითარ დამატებით შენახვის ხარჯებს არ საჭიროებს. თუმცა მყნობის ეს მეთოდი იშვიათად გამოიყენება მეთუთეობაში.

კვირტის მყნობის დროს უპირატესად გამოიყენება მყნობის ორი წესი: ფარის მიჭდობით და ფარის კანქვეშ ჩასმით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში შედარებით უპირატესობას ანიჭებენ ფარით მიჭდობით მყნობას. ასეთი წესის მყნობა ფარის ჩასმასთან შედარებით არ საჭიროებს კვალიფიციურ მყნობელს, იოლი შესასრულებელია და მყნობის წესის ათვისება შესაძლებელია მოკლე ვადაში. ამასთან ნამყენის შეხორცება და გახარების მაჩვენებელი მაღალია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ წესით მიღებული ნამყენი ნერგის ტანი მაღალი და სწორია.

2.1. სადედე-საკალმე პლანტაციის გამოვლენა

მაღალპროდუქტიული და დაბადებისადმი გამძლე თუთის ნამყენი ნერგების გამოზრდისათვის აუცილებელია საკალმე მასალის დიდი რაოდენობით არსებობა, რომელიც უნდა დამზადდეს მხოლოდ სანერგეში არსებული სადედე-საკალმე პლანტაციებიდან.

სადედე-საკალმე პლანტაციების გასაშენებლად გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტიული და დაგადებებისადმი გამძლე თუთის ჯიშები: ოშიმა, ნეზუმიგაესი, იჩინოსე. როსო, გრუზნიიშ-4, ჰიბრიდი-2, ეგრისი, ნატა და სხვა. სადედე-საკალმე პლანტაციის გაშენება და შემდგომ მისი მოვლა უნდა განხორციელდეს მიღებული წესით, მხოლოდ სხვადასხვა ჯიშები სასურველია განლაგდეს თანმიმდევრულად ცალკ-ცალკე კვარტალებში. კვების არე ასეთი ტიპის პლანტაციის გაშენების დროს უნდა იყოს 4b4 მ.

გაზაფხულისა და ადრე ზაფხულის მყნობისათვის სანამყენე მასალად გამოიყენება ზამთრის კალამი. მყნობა მაშინ ტარდება, როცა საძირები წვენთა აქტიური მოძრაობაა. სანამყენე ამ დროს პასიურ, ანუ მოსვენებით მდგომარეობაში უნდა იყოს. ამიტომ სანამყენე მასალა საჭიროა გაცილებით ადრე დაგამზადოთ და შევინახოთ. სანამყენე კალმებად აქრილი უნდა იქნას ერთობლიანი მომზიფებული ტოტები, რომელთაც უნდა მოსცილდეს სამყნობად უვარგისი წვეროს მოუმწიფებელი და აგრეთვე ძირის სქელი ნაწილები. ტოტის დანარჩენი ნაწილი

უნდა დაიჭრას 50-50 სმ სიგრძის 10-12 კვირტიან კალმებად, დალაგდეს კვირტის მიმართულებით და შეიკრას კონებად. კონაში სასურველია არაუმეტეს 50 ცალი კალამის რაოდენობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ეტიკეტი წარწერით-ჯიშის დასახელება, კვირტის რაოდენობა, დამზადების ადგილი და თარიღი. (სურ. 8.)



ნახ. 8. შესანახად გამზადებული თუთის კალმები

კონებად შეკრული კალმები უნდა მოთავსდეს 50ხ80 ან 60ხ80 სმ ზომის პოლიეთილენის პარკში. თითოეულ პარკში, კალმების სიმსხოს გათვალისწინებით ეწყობა 3-4 კონა, ანუ 150-200 კალამი. სასურველია პარკში მოთავსდეს მხოლოდ ერთი ჯიშის კალმები. დიდი რაოდენობით კალმების დამზადების შემთხვევაში დასაშვებია კალმების დროებით სარდაფში შენახვა და მეორე დღესვე

პარკებში მოთავსება. პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული კალმები უნდა მოთავსდეს მაცივარში 2-3 გრაფუსის ტემპერატურისა და 80-85 ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის პირობებში. პოლიეთილენის პარკებს თავი უნდა მოეკრას მაცივარში შეტანიდან 2 საათის შემდეგ (ნახ. 9.). მაცივრიდან კალმების მიზნობრივად გამოყენება უნდა მოხდეს თანდათანობით, მყნობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე.



ნახ. 9. პოლიეთილენის პარკები მოთავსებული თუთის კალმები

კალმების შენახვა შესაძლებელია აგრეთვე სარდაფებში, ორმოებში და ქვევრებში. კალმების შესანახი სარდაფი დაცული უნდა იყოს მზის სხივებისაგან. ზედმეტი სინესტის

თავიდან ასაცილებლად კონებად შეკრულ კალმებს დაწვენილ მდგომარეობაში აღაგებენ ფიცარზე და მთლიანად ფარავენ ოდნავ ნამიანი სილით. შენახული კალმები თვეში ერთხელ უნდა განიავდეს.

2.2. კვირტით მყნობის მოვა-დება და ჩატარება

მყნობის წინ კალმები უნდა შემოწმდეს. თუ კალმები არის გამომშრალი, მაშინ იგი მყნობის დაწყებამდე 1-2 დღით ადრე უნდა მოვათავსოთ სველ სილაში, ხოლო მყნობის წინ დალბობილი უნდა იქნას წყალში რამდენიმე საათით. სამყნობად საჭირო კალმები უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით და კარგად შეიხვეს სველ ტილოში. მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს აგრეთვე საძირეთა ნაკვეთში. მყნობამდე რამოდენიმე დღით ადრე უნდა ჩატარდეს რიგთაშორისების კულტივაცია და საძირეებს 15-20 სმ სიმაღლეზე უნდა შეეცალოს გვერდითი ამონაყრები.

მყნობის ჩატარების ტექნიკა-მყნობის ნორმალურად ჩატარებისათვის აუცილებელია შესაფერისი სახვევი მასალისა და სამყნობი დანის შერჩევა. სახვევ მასალად ამჟამად გამოიყენება სინთეზური მასალა-ბოლიერილენი. პოლიეთილენი უნდა დაიჭრას 1-1,5, სმ სიგანის და 25-30 სმ სიგრძის ზოლებად და შეიკრას კონებად 50-100 ცალის რაოდენობით. მყნობის ჩატარების ტექნიკა ოთხი პოზიციით განისაზღვრება: ფარის(კვირტის) ათლა, ფარის სიგრძე უნდა იყოს 2,5- 3,0 სმ საძირეზე კანის ათლა, საძირეზე ფარის მიჭღობა და ნამყენის შევევა(ნახ. 10).



ნახ. 10. თუთის ფარით მიჭდობა

მყნობიდან 8-10 დღის შემდეგ საძირეს ლერო უნდა მოიჭრას ცერზე, მყნობის ადგილიდან 6-7 სმ -ით ზევით ან პირდაპირ გახარებულ კვირტზე. 10-15 დღის შემდეგ უნდა შემოწმდეს ნამყენის შეხორცება. გაცდენის შემთხვევაში (თუ კვირტი არ არის დაბერილი) უნდა ჩატარდეს განმეორებითი მყნობა მოპირდაპირე მხარეს.

საძირეზე სახვევის ჩაჭრისას სახვევს უშვებენ ქვემოდან. ამონაყარიყლორტები უნდა შეეცალოს სისტემატიურად, რათა მაქსიმალურად განვითარდეს მხოლოდ ნამყენი ყლორტი. როდესაც ნამყენი მიაღწევს 7-8 სმ -ის სიმაღლეს, იგი უნდა აიკრას ცერზე, რათა სწორი მიმართულება მიიღოს და ქარმა არ დააზიანოს. საძირეზე დატოვებული ცერი უნდა გადაიჭრას ივლისის თვის პირველ ნახევარში, ნამყენის საწინააღმდეგო მხარეზე ოდნავ დაქანებით (ნახ. 11).



ნახ. 11. ნამყენის ცერზე აკვრა

მეთუთეობის აგრონესებით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარების შემთხვევაში, ვეგეტაციის ბოლოს, მიღებული უნდა იქნას თუთის ერთნლიანი არაფორმირებული სტანდარტული ნამყენი ნერგი.

2.3. დარგვისწინა, ანუ დაცულ შეცობაში მყნობა

დარგვისწინა მყნობა სანერგები მყნობისაგან განსხვავებით რიგი უპირატესობით ხასიათდება. ამ წესით მყნობის დროს იზოგება სამუშაო დრო, სამუშაო ჩატარება არაა დამოკიდებული ამინდის პირობებზე, ერთი წლით მცირდება ნამყენი სარგავი მასალის მიღების დრო და მცირდება ნერგების თვითლირებულება.

დარგვისწინა, ანუ ოთახის მყნობა ტარდება ზამთარში, ადრე გაზაფხულზე ან უშუალოდ დარგვის წინ. ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე მყნობისას ნამყენს ინახავენ სილაში ჩვეულებრივი წესით, სარდაფში ან სხვა შესაფერის ადგილზე სათანადოდ (დაბალ ტემპერატურაზ). მყნობის ჩატარების წინ ნარმოებს საძირისა და სანამყენოს მასალის შერევა. დაზიანებული სანამყენები მასალა არ უნდა იქნეს გამოყენებული მყნობისათვის. მყნობა ტარდება ჩვეულებრივი მიღებული წესით, ნამყენი მასალა იწყობა სპეციალურ ხის ყუთებში და უტარდებათ სტრატიფიკაცია. სასტრაფიკაციო ყუთებში ჩაწყობილი ნამყენისათვის ტენის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იქნეს ნახერხი.

ნამყენების ყუთში ჩაწყობა - ჩასა-ნყობად გამზადებულ ყუთებში ჯერ ყრიან სველი ნახერხის ფენას 4-5 სმ სიმაღლეზე, ასწორებენ ხელით და ტკეპნიან. ნამყენი ნერგების პირველი რიგი იწყობა ფრთხილად ერთი მიმართულებით. ჩაწყობილ ნამყენებს ფრთხილად უნდა დაეყაროს სველ ნახერხი იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დაიფაროს. შემდეგ ხდება მეორე რიგის ფენის ჩაწყობა და ა.შ.

ნამყენების მოვლა სათბურში- სათბურში ყუთებით შეტანილ ნამყენებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. პირველ რიგში დაცული უნდა იყოს სითბოს $25-27^{\circ}\text{C}$ და ტენის $80-85\%$ სავალდებულო პირობები. სათბურში ხელოვნურად შექმნილი პირობების შედეგად ნამყენი იწყებს ორი კვირის შემდეგ იწყებს კალუსის განვითარებას, რომლის შემდეგ ყუთები გადატანილი უნდა იქნეს ორი სამი დღით საკაუჟე განყოფილებაში, შედარებით დაბალი ტემპერატურულ ($15-16^{\circ}$) პირობებში. დარგვის წინ ნამყენებს ფრთხილად იღებენ ყუთებიდან და სათანადო გამზადებულ ნიადაგში ხდება მისი დარგვა.

დარგვისწინა მყნობა ვაზის სამყნობარატ-OMEGA-ზე- დაჩქარებული მეთოდით ნამყენი ნერგის მიღება შესაძლებელია მექანიზირებული წესით ვაზის სამყნობა აპარატზე. ეს პროცესი მარტივად შესასრულებელია, ზრდის ნერგების გამოსავლიანობას და მკვეთრად ამცირებს

წარმოებული ნერგების თვითღირებულებას. მყნობის ჩატარებისათვის აუცილებელია სანამყენო კომპონენტების -საძირესა და სანამყენო მასალის კალიბრირება. მყნობის შემდგომ ხდება ნამყენის პარაფინირება. პარაფინი ადიდებს ნამყენის სიმტკიცეს, იცავს მყნობის ადგილს მავნე მიკროორგანიზმების შეჭრისაგან და ხელს უწყობს კალუსის წარმოშობას.

ნერგების ამოღება, დახარისხება და შენახვა - იმ შემთხვევაში, თუ ნერგების უმრავლესობა საკმაოდ განვითარებულია და აკმაყოფილებს სტანდარტულ მოთხოვნილებებს, ისინი შემოდგომაზე, ფოთოლცვენის დაწყებიდან ყინვების დაფგომამდე, ან ადრე გაზაფხულზე უნდა იქნეს ამოღებული. ნერგების ამოღება წარმოებს ბარით, სპეციალური გუთნით, ან სპეციალური ნერგსათხრელი მანქანით. ამოღებული ნერგები გადატანილი უნდა იქნას ქარისაგან დაცულ ფარდულში ან დაჩრდილულ ადგილზე და დახარისხდეს სტანდარტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით.

სტანდარტულ ნერგს უნდა ჰქონდეს არანაკლები 300 მმ ძირითადი ფესვის სიგრძე, ჯანსაღი, სწორი, გამერქნებული ტანი მთლიანად ან ნანილობრივ შეხორცებული ჭრილობებით. პიბრიდული, ადგილობრივი ფორმების და ნამყენი ნერგების დახარისხება და მიმარხვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, ნერგის ხარისხის სტანდარტის შესაბამისად.

ამ მიზნით შემაღლებულ და ქარებისაგან დაცულ ადგილას უნდა გაითხაროს 1 მ სიგანის და 50 სმ სილომის თხრილი და შიგ ჩაიწყოს ნერგები

დაწვენილ მდგომარეობაში 3-4 ფე-
ნად. (ნახ.12.) თხრილში ჩანყობილ
ნერგებს ფესვებზე უნდა მიეყაროს
ფხვიერი მიწა ისე, რომ მიწით დაი-
ფაროს ნერგის ტანი ფესვის ყელი-
დან 15-20 სმ სიმაღლეზე.



ნახ. 12. ნერგების მიმარხვა ლია გრუნტში

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მო-
ცემულ თემაზე შეგიძლიათ მიმართოთ სოფლის მეურნეობის სა-
მინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

შემდგენელი : სოფ. მეურ. მეცნიერებათა დოქტორი, ნოდარ
სტეფანიშვილი



სოფლის მდგრეობის
სამინისტრო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge